წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი 1915 წ. № 170

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის Тифлисъ, редакцiя „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## მომხმარებელი საზოგადოება „მეურნეს“

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოებაში წევრად ჩაწერა სხვათა შორის შეიძლება სამეურნეო ბანკში გ. კანდელაკისთან, წერა-კითხვის საზოგადოებაში ვანო ავალიშვილთან, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მაქრო ბილანიშვილთან და „საქართველოს“, „თანამედროვე აზრის“, „სახალხო ფურცლის“ და „ახალი კლუბის“ კანტორებში. საზოგადოებაში ჩასაწერი გადასახადია ერთი მანეთი, ხოლო თითო პაი ღირს 10 მანეთი. საპაიო ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

## ვასრულებთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაქენებთ ბინგლს.

ვასუფთავებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ძალუძს ხვა განყოფილებაც არ მოიძებნება.

ახლად დაარსებული საამხანაგო

## ფქვილის საწყობი „რაჭა“

ჰყიდის მეპურეებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —11

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

## გადაწერას საწერ მანქანის

საშვალებით და საწერ **მანქანაზე**

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ასრულებს

## ი. თ. ბჟალავას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს **სადოსტაქრო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

## ჩვენი სინამდვილის ანალიზიდან.

რანაირიც გინდ იყოს საქართველოს აწინდელი ეთნოგრაფიული შინაარსი, ერთი რამ სავალდებულოა: **საქართველო** უნდა იგულისხმებოდეს ერთ ეროვნულ კომპაქტურ მთელად, რომელიც შექმნილია ერთი მოდგმის ხალხისაგან. მისი საზღვრები უნდა უწევდეს, ვიდრემდე ქართვლის ეთნოგრაფიული ელემენტი მიდის. ამ კანონიერ საზღვრებით შემოხაზულ საქართველოში დღეს უცხო ტომებსაც ჰპოებთ, ვისაც არც ჩვენ დაუპყრივართ ისტორიულად და ვინც არც ჩვენ დაგვიპყრია და მასიურ გადმოგვისახლებია. უმეტესი ამ უცხოთაგანი შემოსულია თავის ნებისაებრ თუ შემოპატიჟებით სწორედ იმ დროს, როდესაც ნამდვილი მასპინძლის, თუ საქართველოს ისტორიული მფლობელის სიმაგრეს სიმტკიცის ბჭე ჰქონდა აყრილი. ამ მხრივ, რასაკვირველია, შეუძლებელია, მათ რაიმე პრეტენზია ჰქონდეთ. თავის მხრივ საქართველოს ეროვნული შეგნება, რომლისთვისაც მობრძანების ნებართვის გამოსათხოვრად ერთჯერაც არ მიუმართავთ და არც უცვნიათ საჭიროდ მისთვის ანგარიში გაეწიათ, რასაკვირველია, რომ ყოველგვარ ვალდებულების გარეშე სდგას. ეს მარტივი რამეა, უბრალო გასაგები. კაცისა და ღვთის სამართალს სასაყვედურო არა ეთქმის-რა ქართველისათვის. პირიქით!.. დღესავით ნათელია, უცხო ტომის ვერც ერთი ჩამომავალი, **ვიდრე იგი არ დაჰკარგავდა თავის ეროვნების ძირითად ხასიათებს,** თვისი არსების ბუნებრივ სულიერკულტურულ ფუნქციით ვერაფერს ქართულს ვერ შეჰქმნიდა; მაშასადამე, ცნება **საქართველოს** გამდიდრება-გაშინაარსიანებაში იგი ვერც ვერავითარ მონაწილეობას მიიღებდა. თითეულს თავისი საკუთარი „საქართველო“ აქვს, რომელიც იქ დაუტოვებია, საიდანაც წამოსულა.

ამ ნაირად, საკუთარ ბუნების **დაუმახინჯებლად,** წინასწარ საზღვრულ ეროვნულ სახის ჩაუკვლელად, **თავის-თავად ბუნებრივად,** არც ერთ უცხო ტომისას არ ეხელმწიფების ჰქმნას საქმე ქართული. **ჩვენს საქართველოში** რომ ჩაეწეროს სულიერ-კულტურულად, უნდა გამოეწეროს თავის „საქართველოდან“, ხელი აიღოს ძვირფასად საყვარელ თავის წარსულსა და მოგონებაზე, თავის მკვდრებზე; უნდა წარიხოცოს სახე ეროვნული, შექმნილი საუკუნეებით და ყველა ეს რისთვის? ან შეიძლება-კი, სურვილიც რომ იყოს? ვინ იცის ცოცხალში როდის ჩამოკრავს შურის მაძიებელი წინაპარი თავის ჩანგს!?!

ესეც რომ გულში გადაიწყვიტოს, ჩვენ, მეორე მხარეს, რა უფლება გვაქვს მსხვერპლი ესეთი შევიწიროთ? ეს იქნებოდა კაციჭამიობის ის მხეცური ეგოიზმი, რომელსაც ვერ შერიგებია ქართველის ბუნება თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის ვერც ერთ ეპოქაში და რომელსაც დღესაც ჰგმობს და სძრახავს, როს სხვა სჩადის მაგას.

ეს რომ კიდეც გულში გადაიწყვიტოს ვინმე უცხო ტომისამ, რა ზნეობრივის მოსაზრებით უნდა გავამართლოთ იგი. სად რა საზომი გამოვსძებნოთ ამისთვის, ან ვით შევიწიროთ მსხვერპლი ეგზომ საშინელი!

ამნაირად, უამსაშინელ მსხვერპლოდ, თუ არ სიცოცხლეშივე ათასჯერ საძრახ სიკვდილით, უცხო ტომისას მატერიულად არ ეხელმწიფების ჰქმნიდეს საქართველოს კულტურას, იღვწოდეს საქართველოს წარმატებისა და აყვავებისათვის! ხოლო ესეთი მსხვერპლი მიუღებელია ჩვენთვის. მისი წინააღმდეგია მთელი ჩვენი ბუნება. **ჩვენი საქართველო** კი ფუნქციაა მხოლოდ ქართველად შობილ და ქართველად **სამარეში ჩასულ** კაცისა. **ჩვენი საქართველოს** გამდიდრება სულიერის თუ ნივთიერის კულტურით ბუნებრივად მოხდა, ხდება და მოხდება ქართველი კაცის სულიერ-კულტურული **ბუნებრივი** ფუნქციის შედეგად.

აქ არის განსხვავება და ძირითადი **არსებითი** წინააღმდეგობა სწორედ აქ სუფევს. აქ ორი დასაბამია, ერთი მეორეს გამომრიცხავი, ორთავე ჩვენი ნებასურვილის გარეშე და მის წინასწარად საზღვრული,—ამიტომაც ჩვენზე ძლიერი. ამისთვის ცისა და ქვეყნის ლოღიკის ძალით, კაცთა და ფიზიკის კანონის ძალით, წარმოუდგენელია ორი დასაბამი, იმ თავითვე სხვა და სხვა ეროვნულ სახის განმტკიცებისა და სხვა და სხვა ეროვნულ კულტურის განგრძობა-გაფურჩქვნისთვის ქმნილი, ერთ-ერთი ერის კულტურას შეეწყოს, მას ჰქმნიდეს და ამდიდრებდეს **ბუნებრივად:** ხოლო თუ თითეული თვით-განმტკიცებას დაადგა, ერთ-ერთი უნდა დაიჩაგროს, შევიწროვდეს, დაკნინდეს. ერთ-ერთმა უნდა ვაივაგლახით შეიძინოს მომავალი და მეორემ ვაი-უბედურებით დაჰკარგოს იგი. მოპირდაპირის დასამარცხებლად დახარჯული ძალა უნდა მოაკლდეს გამარჯვებულის წარმატების ინტენსიურობას; ამის გამო გამარჯვებულის დაწინაურებაც მუდამ შებორკილი და განელებული გამოდის. ეს აუცილებელი კანონია კაცთა და ფიზიკის სფეროში. რა უკანონო იქნებოდა, და ბუნებაც მისი გამგითა ღირსი გმობისა, რომ შინაური, სახლის კანონიერი ბატონ-პატრონი მტლად დაედოს ამ ბუნებისა და კაცთა საშინელ კანონს!!

ასეთია ვითარება, ღირსი უაღრესი და უუმახვილესი ყურადღებისა! ქართველმა უნდა იფიქროს ამაზედ!

ს. კ—დია.

## შეხლილი ძალები

ბალკანეთი გადაიქცა ყურადღების ცენტრად. მრავალ ათას ვერსის სიგრძეზე გაშლილ ბრძოლის ფრონტს ჰიპი თითქოს ეხლა გამოებაო. საერთო ნერვიულ დროს, როდესაც ომს კრიზისის მომენტი დაუდგა, მებრძოლ ძალთა ახალი ორიენტაცია, სიახლის ძალით, ყურადღებას აცხოველებს და იპყრობს კიდეცა.

ასეთ განსაკუთრებულ პსიხოლოგიურ ვითარების დროს, მოვლენის გაზვიადება და მეტის-მეტი გადაფასება გასაკვირად არ ჩაითვლება. ეს მდგომარეობა სათვალავში ჩასაგდები, თუ რომ გვსურს რაც შეიძლება სინამდვილესთან დაახლოვებული დიაგნოზი დავსვათ ამა თუ იმ მოვლენას. ბალკანეთის ახალი ფრონტი თუ მთელი ომის ბედის მტარებელი არ არის, უეჭველად სანახევროდ მაინც გადაჰრის მას.

ომის ლიკვიდაციის დასაჩქარებლად თანასწორი მნიშვნელობა არ აქვს ბალკანეთის ფრონტზე ამა თუ იმ მოპირდაპირის გამარჯვებას. შეთანხმების სახელმწიფოთა გამარჯვება იმდენ ცვლილებას ვერ შეიტანს ომის ტემპში, რამდენსაც შეიტანს ავსტრია-გერმანეთის გამარჯვება, საერთო კონიუკტურის ძალით. ამ ფრონტის ბრძოლის შორეული დასასრულის ამ თავითვე ბუნდოვანად განჭვრეტა რამდენიმეთ შეგვეძლება, თუ სახეში მივიღებთ ამ ახალ ველზე გამოსულ მებრძოლ ერთეულთა რეალ მდგომარეობას.

ერთის მხრივ დგას: სერბეთი და მოკავშირეთა საექსპედიციო ჯარი. მეორეს მხრით ბულგარეთი, ოსმალეთი და ავსტრია-გერმანეთი. 15 თვის ტიტანიურმა ბრძოლამ ილაჯი გაუწყვიტა პატარა სერბეთს და დაუშრიტა ეკონომიური რესურსები. რაც მტრის იარაღმა დააკლო, ის საშინელმა სახადმა მოუთავა, რომელმაც ათი ათასობით ჯარისკაცი დაუწყვიტა. ბრძოლად გაყვანილი ჯარიდან რაღაც 130 ათასი-ღა შერჩენია. დიდი-დიდი ეს რიცხვი ორას ათასამდე აიყვანოს. ასე დასუსტებულ სერბეთს აღმოსავლეთით შემოესია მონათესავე, სლავთა მოდგმის სახელმწიფო, ბულგარეთი, რომელმაც ამ მსოფლიო ომში პირველად მოიმარჯვა მახვილი. ბულგარეთს კარგად მოწყობილი და სრულიად ხელუხლებელი მხნე ჯარი ჰყავს, რიცხვით 400,000-ზე- თუ არ მეტი, ნაკლები არა; ბულგარეთის ჯარის ნახევარიც ეყოფა დღევანდელს მდგომარეობაში ჩავარდნილ სერბეთს.

სერბეთის საშველად შეთანხმების სახელმწიფონი გამოეშურნენ. მაგრამ გეოგრაფიულად დიდათ დაშორებული ინგლისი და საფრანგეთი ეგრე რიგ სწრაფად ვერ შესძლებენ საკმაო ძალის მოშველებას. სატრანსპორტო გემებზე ათი-ათასობით საექსპედიციო ჯარის გადმოყვანა ბევრ დროსა და განმზადებას მოითხოვს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საფრანგეთი არც თუ ისე დიდის ხალისით შეელევა შორეული ფრონტისთვის თავის ჯარისკაცებს. ამ უკანასკნელდღეებში საფრანგეთის პარლამენტში მომხდარი ამბები ნათლად მოწმობს რომ ფრანგებს არ სურთ საფრანგეთის მიწას თუნდაც ერთი ფრანგი ჯარისკაცი მოსწყვიტონ. ასე რომ საფრანგეთი მხოლოდ უაღრესად აუცილებელის წინაშე იხრის ქედს და ისე გზავნის თავის ჯარისკაცს გალიპოლსა თუ სალონიკში საბრძოლველად. მაშასადამე საფრანგეთ-ინგლისის მიშველება ჯერ ძალზედ შეგვიანდება და მერე არც თუ ისე დიდრიცხოვანი იქნება მათი მაშველი ჯარი. ჯერჯერობით ამათგან სალონიკში გადმოსხმული ჯარი, თუ გალიპოლიდან თუ სხვა ადგილიდან წამოყვანილი, მნიშვნელოვან ძალას არ წარმოადგენს.

სერბეთის ჩრდილოეთით დაგროვილი ავსტრია-გერმანეთის ჯარი, რომელსაც მაკენზენი მოუძღვის და რომლის რიცხვი სულ ცოტა ოთხას ათასს აღწევს, ხან-დაუზმელად, თავის გეოგრაფიულ პოზიციის წყალობით, შუაგულ სერბეთში ამოყოფს თავს; ამნაირად, როგორც გეოგრაფიულ მდგომარეობის მხრივ, ისე ჯართა სიმრავლისა და მებრძოლ ელემენტის სიახლის (იგულისხმეთ ბულგარეთის ჯარი) მხრივ დიდი უპირატესობა არის ცენტრალ სახელმწიფოთა და ბულგარეთის მხარეზე. რუმინეთი და საბერძნეთი ორივე განზე დგას ჯერ ჯერობით, ამიტომ ისინი აქ მოსატანი არ არიან. არაჩვეულებრივი სიმხნევეა საჭირო და განსაკუთრებული რამ მოვლენა უნდა მოხდეს რომ შეთანხმების სახელმწიფოებმა თვისკენ გადმოხარონ გამარჯვების სასწორი.

მეგრი.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სერბთა მისაშველებლად.**

ფრანგული გაზეთები „Echo de paris“ „Gaulois“ და „Journal“-ი საჭიროდ სცნობენ, რომ მოკავშირეებმა შეაერთონ თავიანთი ძალები და გასწიონ შეთანხმებული მოქმედება. თანაც გამოსთქვამენ სურვილს, რომ ბრძოდეს არა მარტო ალპების მთებზე, არამედ ბალკანეთშიაცო.

—

„Republique Francaise“ სწერს: ფრანგები უნდა იყვნენ ყოველგან სადაც მათი მოკავშირენი არიანო.

—

ინგლისური გაზეთებიც, როგორც „Times“, „Daily chrouicle“-ია, მოით-

ხოვენ მოკავშირეებმა დაუყონებლივი დახმარება გაუწიონ სერბეთს.

——

იტალიური ოფიციოზები, „Secolo“ და „Messagero“ სწერენ: ის გარემოება რომ იტალიის ჯარი ბალკანეთში არ იბრძვის, სრულებით არ ნიშნავს, თითქოს იტალიას არ სურდეს მონაწილეობა მიიღოს ბალკანეთის ოპერაციებშიო.

**რუსეთის მომხრე გაზეთის ფერისცვალება.**

ბულგარული გაზეთი „პროპორეცი“, რომელიც აქამდე რუსეთის დიდი მომხრე იყო, დღეს შესცვალა თავისი ფრონტი. ბულგარეთში ისეთი მდგომარეობა დამყარდაო, ამბობს გაზეთი, რომ მოვალენი ვართ მთავრობასთან ერთად ვიყოთო.

**ავსტრია-გერმანიის ორი არმია.**

მაკენზენის საერთო სარდლობის ქვეშ დღეს ორი არმია იმყოფება, რომელიც სერბიაზე ილაშქრებს. ერთ არმიას სარდლობს ავსტრიის გენერალი კევეზი. ამ არმიამ წინდაწინ დაიჭირა ციგანიას კუნძული და ბელგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მაღლობები, საიდანაც ქარიშხალური ცეცხლი მიუშვა ბელგრადის შინაგან ციხეს და ახალ კონაკს.

მეორე არმიას სარდლობს გალვიცი. ეს არმია დუნაიზე გადმოვიდა, ფეხი მაგრად მოიკიდა სემენდრიის სამხრეთით და სერბებს სამხრეთიდან მოაწვა.

——

რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში გერმანელი აგენტები თავგამოდებით მუშაობენ. მათ შეუიარაღებიათ დიდი რაზმი ხუნხუზებისა და მეთაურებად გერმანელი ოფიცრები დაუყენებიათ. ხუნხუზები თვალ ყურს ადევნებენ რუსეთიდან გადმოსულს ჩინელებს და თუ ზედ ოქრო აღმოაჩნდათ,ართმევენ.

——

ბულგარეთის გენერალს ჟეკერს გერმანელ კორესპონდენტისთვის განუცხადებია: რუსეთის იმედი, ვითომც რაღაც სლავიანთა ერთობის გულისთვის ბულგარეთი თავის თავს მსხვერპლად გასწირავს, ტყუილი იმედია. სანტიმენტალობას და გრძნობის აჰყოლას აქ ადგილი აღარ აქვს. მე ვეჭვობ, რომ რუსეთმა ჩვენზე ჯარი გამოალაშქროს, თუ ასეც მოხდა, არც ერთი ბულგარელი თავის მოვალეობას არ დაივიწყებსო“ ხოლო კაილენოვს ამავე კორესპონდენტისთვის უთქვამს: „ეხლა დრო არ არის რუსეთისადმი რაღაც განყენებულ სიმპატიებზე ლაპარაკი. გადამწყვეტი სიტყვა იარაღს ეკუთვნისო.“

——

ბერლინის ცნობიდან გერმანელ ცეპელინებს ინგლისის პარლამენტი დაუზიანებიათ.

——

რომიდან იტყობინებიან, გარეშე საქმეთა მინისტრს არა ერთხელ ჰქონდა მოლაპარაკება საბერძნეთის ელჩთან. ფიქრობენ, იტალეთი გადამწყვეტ ზომებს მიიღებს, უკეთუ საბერძნეთი „უკუჯექობის“ პოლიტიკას აწარმოებსო. იტალეთის პრესა მოითხოვს, რათა იტალეთი დაუყოვნებლივ ჩაერიოს ბალკანეთის ომშიო.

——

ათინიდან მოსულ ცნობით ბულგარეთის და საბერძნეთის მოლაპარაკება ოსმალეთთან ჯერ არ დასრულებულაო. ბულგარეთი მზად არის მაკედონია ოფიციალად საბერძნეთის საკუთრებად აღიაროს და საზღვრად დაუდოს მონასტირ-გევგელ-დოირანი. ოსმალეთიც მზად არის აღიაროს საბერძნეთის უფლება კუნძულების შემოსაერთებლად.

——

სერბეთის ბატონიშვილ ალექსანდრესგან პეტროგრადში მყოფ ელჩს მოუვიდა დეპეშა, სადაც ავსტრო-გერმანეთის პირველ შესევას ახასიათებს:

ავსტრო-გერმანეთის ლაშქარი გრძელ ფრონტზედ არის გაშლილი და დიდის ძალით გააფთრებული სერბეთის ჯარს აწვებაო. უპირველესად ამ ბრძოლაში ძლიერი არტილერია იპყრობს ყურადღებას, ყოველგვარ ყალიბის ზარბაზნები აქვთ და მათ შორის 42 სანტიმეტრიანიც. გერმანელები არა ერთხელ ნაცადს ხერხს მიჰმართავენ ხოლმე: სეტყვასავით დაუშენენ ხოლმე ზარბაზნებს და ყველაფერს ცეცხლში ახვევენ, მაგრამ სერბიელები მედგრად დგანან და ზოგიერთ ადგილას გაუმაგრდნენ კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრო-გერმანელებს აუარებელი ჯარი ჰყავთ, მათ კიდევ უფრო აძლიერებენ და ყოველ მხრიდან დამხმარე ჯარს აშველებენ და თანდათან ზღვასავით აწვებიანო.

——

„რუსის ინვალიდში“ გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ რუსეთის ფრონტზე მართალია გერმანელებს კვლავ იერიშები მოაქვთ, მაგრამ მას აღარავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა აღარა აქვს.

გერმანელები მოჩვენებით გეგმას ადგანან და ამავე დროს ჯარი ან სერბეთისკენ, ან და საფრანგეთისკენ გადაჰყავთო.

უკანასკნელ ცნობით ვიგებთ, სერბეთის საზღვარზე რამდენიმე გერმანეთის არმია მოქმედობსო, და ორ მათგანს, რომელიც სერბეთს ჩრდილოეთის მხრიდან ესხმის თავს გენერალი მაკენზენი ხელმძღვანელობს, ხოლო დანარჩენს გენერალი გალვიციო.

თუ მივიღებთ ამ ცნობას სიმართლედ, მაშინ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსეთის ფრონტიდან ეს სარდლები უჯაროდ არ წავიდოდნენ, მართლა დიდძალ ჯარს მიჰყრიდნენ სერბეთზე, ამ მოვლენას კი რუსეთის ფრონტზე დიდი მნიშვნელობა აქვს და ხელსაყრელიც არის რუსებისათვის.

ამდენ ჯარის მიყრა ბალკანეთზე, უკედ ვსთქვათ, დარდანელზე გასალაშქრებლად, იმის მომასწავებელია, რომ ოსმალეთის საქმე კარგად ვერ არის, და გერმანელებმა გადასწყვიტეს ოსმალებს მიეშველნენ, რადაც უნდა არ დაუჯდეთ ოსმალებს ამ ჟამად სასროლი მასალა უჭირთ, რადგან რუმინეთიდან ველარ გადააქვთ. ოსმალეთი ხუთს საზღვარზე იბრძვის: დარდანელთან, ეგეის ნაპირებზე, სირიაში, მესოპოტამიაში და კავკასიის ფრონტზე, რაც დიდს ხარჯს და სასროლ მასალას მოითხოვს. დაღლილი თავის მოკავშირეს ელის, ვისი მიზეზითაც ასეთს გაჭირვებაში ჩავარდა.

გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ოსმალებს მიეშველნენ, რათა უბრძოლველად არ დაუთმონ მოკავშირეებს, ბულგარეთის ჯარის მიმატებით წათამამებული მიიჭრეს სერბეთზე, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს თუ საქმე როგორც დაგვირგვინდება.

——

ავსტრო-გერმანელების ფრონტი სერბეთის საზღვარზე 300 ვერსის სიგრძეს აწევს; რუსეთისაზე—1200, საფრანგეთისაზე—700.

მაშასადამე ავსტო-გერმანეთი თავის ჯარს 2,200 ვერსის სიგრძეზე აბრძოლებს. ეხლა თუ აღმოსავლეთისაკენაც წამოვიდა უფრო გაუგრძელდება.

——

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: „Berliner tageblatt“-ის ცნობით, საბერძნეთის ელჩს სოფიაში უთქვამს რადოსლავოვისთვის, რომ საბერძნეთმა გადასწყვიტა დაიცვას ნეიტრალიტეტი და სინდისიერად მოეპყრას ბულგარეთსო.

——

ათინიდან იუწყებიან: გერმანელებმა სოფიაში დიდი ქარხანა მოაწყვეს მხამიან გაზების დასამზადებლად.

——

კოპენჰაგენიდან სოფიის კორესპონდენტი „Berliner tageblatt“-ისა იუწყება: ბულგარეთის პალატის თავმჯდომარემ მოახსენა ჟურნალისტებს, რომ როგორც ავსტრო-გერმანელები სერბეთის ტერიტორიას დაიკავებენ, რომლის დასაკუთრებაც ბულგარეთს სწყურიან, ნაცვლად ავსტრო-გერმანელების ჯარებისა იქ გადავა ბულგართა ჯარი, როგორც ეს ბულგარო-გერმანეთის პირობაში ნათქვამია. ტერიტორიაც გერმანიამ ბულგარეთს უნდა დაუთმოს. შემდეგ თავმჯდომარემ ის აზრი გამოსთქვა, რომ ბულგარეთს ომი არ უნდოდაო და სერბეთმა გვაიძულა ხელში იარაღი აგვეღოო.

# უკანასკნელი ფოსტა

**ბულგარეთი და საბერძნეთი.**

გერმანიამ სავსებით დაარწმუნა ბულგარეთი, რომ საბერძნეთის მხრით არავითარი შიში არ მოგელისო.

**ბულგარეთი წინ მიდის.**

ბულგარეთი წინ მიდის. ამ ჟამად ზარბაზნებს უშენს კრუშერაცს. ნახევარი ქალაქი მაინც დანგრეულია. მცხოვრებნი რუმინიაში გარბიან.

**გოლცფაშა 200 ათასიანი არმიით.**

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გოლცფაშა 200 ათასიანი არმიით ანდრიანოპოლ[illegible] არავინ იცის, საით წავა [illegible] რუსთა საექსპედიციო კორპუსის შესახვედრად ემზადებაო.

**რიგის რაიონი.**

„ნოვ. ვრემ.“ აზრით გერმანელები სცდილობენ დვინის მიმართულება მთლად ხელში ჩაიგდონ, რათა რუსებს ხელიდან გამოსტაცონ ბრძოლის ინიციატივაო.

**გერმანები და ბელგები.**

გერმანები ამ ჟამად გაცხარებით იბრძვიან ბელგების შესამუსრად. მთავარი ყურადღება მიქცეულია დიქსმიუდეს სამხრეთით. სტეენსგრეპთან საშინელი ზარბაზნის ცეცხლი გააჩინეს.

**ბრძოლა დარდანელში.**

დარდანელში ენკენისთვის მეორე ნახევრიდან ბრძოლა თითქოს მიყუჩებული იყო. ოსმალნი საპებით უახლოვდებოდნენ ფრანგ-ინგლისელების თხრილებს. ამ ბოლო დროს ძლიერი საარტილერიო სროლაც ასტყდა. ბრძოლამ ახალი სახე მიიღო.

**„ადმირალ ჰამელენის“ დაღუპვა.**

გერმანელთა წყალქვეშამ დაჰლუპა ფრანგების გემი „ადმირალ ჰამელენი“. როგორც იუწყებიან, მარტო 71 კაცი დაკარგულია.

**რადკო დიმიტრიევი.**

სოფიიდან იუწყებიან, რომ ბულგართა ოფიცრები, მათ შორის რადკო დიმიტრიევი, რომელნიც ამ ჟამად რუსის მომქმედ ჯარებში მსახურებდენ, თუ ბულგარეთში დროზე არ დაბრუნდებიან, ამიერიდან დეზერტირებად ჩაითვლებიანო.

**ფრანგები ბალკანეთში.**

სოლუნიდან იუწყებიან, რომ ფრანგები უკვე იბრძვიან ბალკანეთში. პირველი შეტაკება მოუხდათ ბულგარებთან სტრუმიცთანაო.

# შტაბის დეპეშები

**პეტროგრადი, 5 ოქტ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რიგის რაიონში მდინარე ააზე, მიტავის ქვემოდ, გერმანელთა ერთი ნაწილი გადავიდა ჰერცოგდორფის მიდამოებში, მაგრამ მალე ისევ გადარეკილ იქმნენ უკანა ნაპირზე. დვინსკის რაიონში გუშინდელ მოგერებულ იერიშების შემდეგ გერმა-**

# შემოსევა საქართველოში არაბებისა მე-8 საუკუნეში (698—739 წ.)

(გაგრძელება, იხ. „საქართ.“ № 108)

მეშვიდე საუკუნის დამწყებს არაბეთში გამოჩნდა ახალი ცრუ წინასწარმეტყველი **მაჰმედი** (571—632 წ.), რომლის სწავლა სულ მოკლე დროში მისმა მოწაფეებმა ცეცხლითა და მახვილით მოჰფინეს ქვეყანაში და სრულიად შესცვალეს პოლიტიკური მდგომარეობა სახელმწიფოთა.

როცა ქრისტიანები ღვთაების სამპიროვნებაზე ცილობდენ და იყოფოდენ, ხოლო კერპთ-თაყვანისცემა ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი, მაჰმედმა გამოაცხადა: „არა არს ღმერთი განა მხოლო ღმერთი და მაჰმადი—მისი მოციქულიო“, ე. ი. ერთი არისო ღმერთი, ხოლო მაჰმადი ერთად-ერთი მისი მოციქულიაო, მისის ნების გამომცხადებელიო.

ამიტომ მაჰმედმა თავის მოწაფეთ სჯულად დაუდო გასწყვიტონ ყველანი, ვინც ბევრს ღმერთს აღიარებენ, მოსპონ კერპთ-თაყვანისმცემელნი დედამიწის ზურგიდან ცეცხლითა და რხმლით.

ქრისტიანებიც ამ კერპთ-თაყვანის-მცემლებში ჩარიცხეს, რადგან ხატებს და გამოხატულებათა ჰხედავდენ საქრისტიანო ტაძრებში, ერთის ღვთის **სამპიროვნებას** აღიარებდენ და თაყვანს სცემდენ ჯვარსა. „თქვენ, ქრისტიანები, ღვთის მოსამსახურენი კი არა ხართ, **„შენის თაყვანისმცემელნი ხართო“**, ეტყოდენ მაჰმადიანები ქრისტეს მოსავთ და ჭეშმარიტი ღმერთი არ იცითო. „თქვენ მკვდარს ღმერთს თაყვანს სცემთო“ (დაცინვით ეტყოდენ ქრისტიანებს, რომელნიც ქრისტეს **ჯვარცმულს** ღმერთად აღიარებენ), თქვენ „მრავალ-ღმერთები იცითო“ და **მარტო ჩვენ ვიცით,** რომ ერთია ღმერთიო—ასე თავმომწონეობდენ აგარიანები ქრისტიანების წინ. თქვენი ქრისტე ღმერთი კი არ იყო—ფეემბარი (წინასწარმეტყველი) იყოო, მაგრამ მაჰმედი უკანასკნელი და უდიდესი წინასწარმეტყველია და სხ.

ამასთან ყოველი მაჰმედიანი აღიარებდა **ბედისწერას:** რაც შუბლზე გაწერია—ის აგისრულდებაო, არ ასრულდეს არ იქნებაო, და რაც არ გიწერია, არ აგისრულდებაო. ყველაზე ბედნიერი ის იქნებაო, ვინც მაჰმადის სჯულისთვის ბრძოლაში მოკვდებაო, იმისი სული პირდაპირ სამოთხეში გადასახლდებაო.

ასეთის იმედებით და რწმენით აღფრთოვანებული **ისლამიანები** (ახალნი მართლმორწმუნენი) სწრაფად მოედვნენ ქვეყანას ხმლითა და ცეცხლით, რომ ამოეხოცათ კერპთ-თაყვანისმცემელნი და ძალით გაევრცელებიათ „ისლამი“ (მართლმორწმუნეობა).

სულ ათიოდე წლის განმავლობაში, შემდეგ მაჰმადის სიკვდილისა († 632 წ.) მაჰმადიანებმა ანუ ისმაიტელებმა აბუბექრის მეთაურობით მთელი არაბისტანი ხმლით დაიპყრეს; ხოლო მეორე ათი წელიწადი ჯერ არ შესრულებულ იყო, რომ მაჰმადიანთა შეუყენებელმა სტიქიურმა ღელვამ შთანთქა მცირე აზიის ქვეყნები: ასურეთი, მესოპოტამია (შუამდინარე), ნაწილი სპარსეთისა და აფრიკეთისა (ომარის მეთაურობით 634—644 წ.)

საოცარი შიში დაეცა მაშინდელ უძლეველ სახელმწიფოებს: სპარსეთს, ბიზანტიას, რომს და სხ. ძლიერებით განთქმულმა ბიზანტიის სახელოვანმა კეისარმა ერეკლემ ყოველი ღონე იღონა, რომ ღირსეულად დახვედროდა ამ ახალ ტალღას.

რადგან მისი სამეფო იწეწებოდა შინა განხეთქილებით ქრისტიანების ცილებისა გამო (მონოფიზიტებისგან და მართლმადიდებელთა შორის ბრძოლაში), ამიტომ კეისარმა **შესარიგებლად** და შესაერთებლად ამ დიდ მოწინააღმდეგეებისა გამოიგონა ახალი სარწმუნოებრივი სწავლა—**მონოფელიტობა,** რომელიც, მისის აზრით, ორსავე მხარეს შეარიგებდა, და ამ აზრის განხორციელება მიანდო მეცნიერებით დიდათ განთქმულს **საქართველოს კათალიკოზს კირიონს** (პეტრე). წაიყვანა ეს კირიონი და დასვა ალექსანდრიის პატრიარქად და მისის მეთაურობით გაჩაღდა მონოფელიტური სწავლა. მაგრამ ამ სწავლას წინაღუდგა განთქმული მსოფლიო მწერალი, ფილოსოფოს-ღვთისმეტყველი მაქსიმე აღმსარებელი, რომლის მეცადინეობით მონოფელიტობამ ფესვები ვერ მოიდგა და ამნაირად კეისრის მეცადინეობამ სარწმუნოებრივის ერთობის აღდგენაზე უნაყოფოდ ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ კეისარმა სასტიკი ზომები მიიღო მონოფელიტობის მოწინააღმდეგეთა გასაჩუმებლად, მაგ. წმ. მაქსიმეს ენა მოაჭრევინა და ორის თანამოაზრითურთ საქართველოში გამოგზავნა ტყვედ: ის მოკვდა მურის ციხეში, ლეჩხუმის მაზრაში, ცაგერთან, სადაც მარხია ამ მსოფლიო მწერლის წმ. გვამი.

გარდა ამისა ბიზანტიის კეისრებმა (იმპერატორებმა) შეამჩნიეს, რომ ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი მაჰმადიანთა სწავლის გავრცელებისა იყო **ხატთა თაყვანისცემა,** ანუ „შეშათა თაყვანისცემა“, როგორც დასცინოდენ ქრისტიანებს მაჰმადიანები.

მართლაც, დაბალ ცრუმორწმუნე ხალხში ხატების თაყვანისცემა ხშირად კერპთ-თაყვანისცემას მიემსგავსებოდა და ამიტომ ერთის უხილავის ღვთის თაყვანისცემის ქადაგებამ იდეურადაც სძლია ქრისტიანების შეუგნებელს ნაწილს, ბრბოს, და ახალის უმსგავსო სჯულის—მაჰმადიანობის—გავრცელებას ნიადაგი მისცა. ამის შიშით კეისრებმა ძალდატანებით მოინდომეს ხატების გადაყრა ეკლესიებიდან, ხატების თაყვანისცემის გადაგდება („ხატთა მებრძოლნი“).

მაგრამ ვერც პირველმა და ვერც ამ მეორე საშუალებამ ვერ გასჭრა; პირიქით ერთობის მაგიერ საქრისტიანოში გააძლიერა განხეთქილება და ამან ხომ უფრო გზა გაუხსნა მაჰმადიანობას გამარჯვებისაკენ და ამას ისიც ხელს უწყობდა, რომ მაჰმადიანობა ქრისტეს აღიარებდა წინასწარმეტყველად, ძველი აღთქმა სწამდა და ეს გარემოებაც ადვილებდა გამაჰმადიანებას შეუგნებელ ქრისტიანებში.

თუ ოოგორის სისწრაფით ედებოდა ქრისტიანეთში მაჰმადიანობა იქიდანაც დაინახავთ, რომ სულ ორმოცი წელიწადი არ გასულიყო მაჰმადის სიკვდილის შემდეგ და მაჰმადიანობამ უკვე დაიპყრა სპარსეთი, ბუხარა, სამარყანდი, ინდოეთი და მთელი მცირე აზია სტამბოლამდი სომხეთითურთ (ხალიფების ოსმან, ალის და მოავიას დროს: 634—681 წ.).

სპარსეთიდან, სომხეთიდან და მცირე აზიიდან არაბების შიშით გამოქცეულებმა და საქართველოში შემოხიზნულებმა ეს ამბავი ჩვენც მოგვიტანეს და ჩვენს ქვეყანას შიშის ზარი დასცეს.

ყველასთვის ცხადი იყო, რომ არაბების ტალღა სომხეთზე არ შეჩერდებოდა და დღეს თუ არა ხვალ საქართველოს წაჰლეკავდა, ალბანიას და კავკასიას გადალახავდა, შემუსრავდა ახლანდელს რუსეთსაც, სადაც მაშინ სცხოვრობდა დიდი ერი ხაზართა, და ევროპაში შეიჭრებოდა. ვის შეეძლო დაეყენებინა ეს აბობოქრებული ღელვა ან რომელი მაშინდელი სახელმწიფო წინ დაუდგებოდა მას?

და მართლაც მალე დაიწყო საოცარი ხანა ქართველ-არაბთა ბრძოლისა, რომელიც გაგრძელდა თითქმის ორმოცი წელიწადი—ხანა აჰმადის გამოლაშქრებისა და მურვან ყრუს შემოსევისა, ხანა სახელოვან ბრძოლათა, რომელშიც ქართველებმა თავი ისახელეს თითქმის დაუჯერებელ საარაკო გმირობით და ძლევით.

მაშინ ქართველთა მეფედ იჯდა სტეფანოზ მე-2 ხოსროიანთ (685—733 წ.), და საქართველო, როგორც ალბანია და სომხეთი, ბიზანტიის კეისრის მფარველობის ქვეშ იყო.

მაშინდელს ალბანეთს ეჭირა ნუხიდან დაწყებული მთელი აღმოსავლეთის კავკასია ქალაქ დარუბენდამდის და დერბენტის სამხრეთიდან მტკვრამდის. მას შემდეგ რაც არაბებმა სპარსთა მეფობა დაამხვეს და გააუქმეს „დერბენტის კარი“ ალბანეთის ხელში ჩავარდა და ეს ხომ დიდი ძალა იყო, რადგან ალბანელთ შეეძლოთ გზა შეეკრათ ან გაეღოთ თავისის ნებით მტერ-მოყვარეებისათვის. მაგალითად, ამ დერბენტის კარით შეეძლოთ შემოეშვათ საქართველოში ის ურიცხვი ხალხი ხაზარეთისა, რომელსაც ჩრდილო კავკასია ეჭირა ვოლგიდან შავზღვამდი. დარიალის და ოსეთის კარი ხომ ქართველთ გვეჭირა.

გაჭირვების დროს შეგვეძლო ხაზარებისთვის ეს კარები გაგვეღო და დიდი ლაშქარი ხაზარებისა ჩამოგვეყვანა საერთო მტრის—არაბების—საწინააღმდეგოდ.

თვით საქართველო იმ დროს დიდი ქვეყანა იყო: ალბანიიდან შავზღვამდე და ანაყოფიამდე, სადაც ახლა „ახალი ათონია“ და ეფრატის სათავიდან კავკასიის მთავარ ქედამდე და ციხე-სიმაგრეებით სავსე; ხოლო შავზღვაში ლაზების და ბერძნების ნაოსნები ბრძანებლობდენ.

ამ იმედებით აღფრთოვანებულმა მეფე—სტეფანოზმა თავდარიგს შეუდგა: საბერძნეთის კეისარს ტიბერის მოსთხოვა ბერძენთ ლაშქარი, ალბანელებს და სომხებს ლაპარაკი გაუმართა შეერთებაზე და ხაზართა მეფეებსაც იწვევდა საერთო მტრებთან საბრძოლველად და, როგორც საქმის მიმდინარეობიდან სჩანს, ამათგანაც დაიმედებული იყო შეწევნაზე.

ბიზანტიის კეისარმა (იმპერატორმა) ტიბერიმ (698—705 წ.) სტეფანოზ—მეფის წინადადება აღასრულა. ის თვითონ ებრძოდა არაბებს, რომელნიც ბიზანტიის სატახტო ქალაქს ემუქრებოდენ; სტეფანოზის გეგმა კონსტანტინეპოლს მოაშორებდა არაბთა ტალღას და იმპერატორს იმედიც დაებადა იმისი, რომ ამ გეგმით შეიძლება წართმეული მაზრები (სომხეთი, შუა მდინარე და სხ.) დაეყრევინებინა ხალიფებისთვის.

ამ გეგმით უნდა შეერთებულიყვნენ კეისრის ჯართან მთელი საქართველოს ლაშქრობა, ალბანელთა მთელი ერი, სომხობა, აფხაზები, რომელნიც მაშინ ბერძნების ხელქვეითნი იყვნენ და ეჭირათ ზღვის პირი მდინარე კელასურიდან დაწყებული „დიდ ხაზარეთის მდინარემდი“, ე. ი. ყუბანის ბაგემდი. ამასთან არაბებისგან დამხობილ სპარსეთის სამეფოდან ბევრი გამოქცეული დიდკაცობა იყო სტეფანოზის კარზე, რომელნიც მზად იყვნენ მთელი სპარსობა აეჯანყებინათ არაბთა წინააღმდეგ. ხაზარებიც დახმარების იმედს იძლეოდენ. დიდებული გეგმა იყო!

(შემდეგი იქნება)

თ. ჟორდანია.

ები უმოქმედოდ არიან. მხოლოდ პოშილინთან მათ ორჯელ სცა- რუსები თხრილებიდან ამოერეკ- მაგრამ დროზე შეჩერებულ იქმ- საარტილერიო სროლა გრძელდე- ღემენისა და დრისვიატის ტბების ბრძოლა არ შეწყვეტილა. წურ- ცის ჩრდილოეთ ნაპირებზე გერმა- თ დიდი ზარალი მოუყიდათ. რუ- ა წამოიყვანეს ტყვეები და ტყვის- ქვეველები. ზემო ნემანზე რუსებ- აიღეს სოფ. შჩირსი. პრიპიატის რეთით, მდ. შუა სტირის რაიონში ებმა თვალსაჩინოდ გაიმარჯვეს სოვეშჩიცთან, რაფიალოვის ქვე- რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 13 ცერი, 400 ჯარისკაცი. სოფ. პო- ვიცესთან რუსის ცხენოსნებმა შე- ეს მტრის რაზმები. ტყვედ წამოი- ეს 30 ოფიცერი და ათასი ტყვე ისმფრქვეველებითურთ. სოფ. კო- ანიჩი აიღეს რუსებმა. მტრის ტრიერიშის მოგერიების შემდეგ ებმა ტყვედ წამოიყვანეს 800 ტყვე. თიადისას რუსები შეიჭრნენ სოფ. ოკოვიჩში და ტყვედ წამოიყვანეს ს ჯარისკაცი, მრავალი ტყვია და ზარის მფრქვეველი.

ავკასიის ფრონტზე შესამჩნევი ილება არ მომხდარა.

# ახალი ამბავი

✦ **კ. ბალმონტის პატივსაცემად** ქა- ულ კულტურის მოყვარულთა საზო- ოების საბჭო პარასკევს, 9 ამ თვეს, რტისტო საზოგადოების დარბაზში ს საღამოსა ჰმართავს, საინტერესო ოგრამით. მონაწილეობას მიიღებს, ათა შორის, თვით კ. ბალმონტიც. ლეთების მიღება შეიძლება დღეს და ლ „სახალხო ფურცლის", „საქართ- ოს", „თანამედროვე აზრის" და ავკ. რეჩის" რედაქციებში.

✦ **წესდების დამტკიცება.** მთავრო- დაამტკიცა წესდება ქართულ კულ- ურულ-განმანათლებელ დაწესებულე- ა კავშირისა. დამფუძნებელ წევრე- ე არიან ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მჯდომარე ბ-ნი ე. თაყაიშვილი და ართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგა- ების საბჭოს თავმჯდომარე თავ. დ. ჩოლოყაშვილი. დანარჩენი საზოგადო- ნი აწი ჩაეწერებიან კავშირში წევ- ად.

✦ **უცნაური ხმები.** თბილისში ხმები დის, ვითომც ერთ მდიდარ ვაჭრის ყობში საინტენდანტოს მიერ ბეჭედ კრული საქონელი აღმოჩენილიყოს. ხმა იმდენად გავრცელდა ხალხში, მ მის სინამდვილეში ეჭვი ბევრს არ რება.

✦ **მგოსანი ბალმონტი** ქუთაისს წა- და, სადაც თავის რუსულად ნათარგმნ ეფხის ტყაოსანს" წაიკითხავს. დაბრუ- ება თბილისში 9 სექტემბერს.

✦ **ცნობილ ზინგერის** საკერავ მან- ების ყველა საწყობი დაიხურა თბი- ისში მთავრობის განკარგულებით.

✦ **საანკეტო ფურცლების პასუხი.** ოგორც ვიცით, ქართულმა საქველმოქ- დო საზოგადოებამ საქართველოს ყვე- ა კუთხეში დაგზავნა საანკეტო ფურც- ები, რომლების საშუალებით უნდოდა ქვებისა და სათესლე მასალის რაოდე- ბის გამორკვევა. საზოგადოების გამგე- ბამ მრავალი ადგილიდან მიიღო ქმასა- ფელი პასუხი ანკეტებზე. რადგან ამ მად ბევრს მაზრაში უკვე შემდგარია ა ბევრში კიდევ შედგება კოოპერა- ივთა ბიუროები, რომელთაც უნდა იზ- უნონ და მოაწესრიგონ ხალხისათვის ქვებ-სათესლე მასალის მიწოდება, ამი- ომ საქველმოქმედო საზოგადოების მგეობა ამ ბიუროებს უგზავნის მათი აზრებიდან მოსულ პასუხს საანკეტო ფურცლებზე და სთხოვს, თანახმად ამა უ იმ ბიუროს დაარსების დედა აზრისა, ონისძიება იხმარონ საჭირო მოთხოვნი- ებათა დაკმაყოფილების. ხოლო მთა- რი გამგეობა საქველმოქმედო საზოგა- ოებისა დახმარებას აღმოუჩენს მათ აგონების მოპოვებით, საერთო ხელ- ძღვანელობით და სხ.

✦ **აღმასრულებელ კომისის სხდომა.** 9 სექტემბერს სხდომა ექნება ქალა- ის თვითმართველობის აღმასრულებელ ომისიას, რომელსაც მზრუნველობა აქვს აკისრებული დაჭრილ ჯარისკაცებზე. მ სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ ქნება გამოძიება „თანამედროვე აზრში" ასტამბულ წერილის გამო, რომლის ავ- ტორი ამტკიცებდა, რომ ლაზარეთში № 37 ბოროტმოქმედება ხდებაო.

✦ **საზოგადო კრება.** 18 ოქტომბრისათვის დანიშნულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა საერთო კრება. განსახილველია მრავალი საგანი: გასულ და მიმდინარე წლების ფინანსიური და მოქმედების ანგარიში, ხარჯთაღრიცხვა, მოხსენებანი ქართველ მაჰმადიანთა, მოსალოდნელ შიმშილობისა და გადმოხვეწილთა შესახებ, მოხსენებანი საზოგადოების განყოფილებათა, სარევიზიო კომისიის არჩევა, მოხსენება საზოგადოების წევრად შესვლის შესახებ ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში და სხ.

✦ **სრულიად რუსეთის საზოგადოებაში,** რომელსაც აზრად აქვს რუსეთის მხედართა ხსოვნა რითიმე აღნიშნოს, წევრებად ჩაეწერნენ: თბილისის ქალაქის გამგეობა, მიწადმფლობელობისა და მიწადმოქმედების მთავარგამგის რწმუნებულის კანცელარია, „რუსების კლუბი", „ახალი კლუბი", „თბილისის კრუჟოკი", ვ. ი. პავლოვსკი, ტყეთა რევიზორები: ა. პ. გრიცენკო და ლ. ი. ზაკტრეგერი, თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, პოლკოვნიკი ს. ს. ესაძე, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა რევიზორი ა. ვ. შრეიბერი, ნ. პ. ტარატინოვი, ა. ხ. როდლოვი და სხ. წევრად ჩაწერა კიდევ შეიძლება.

✦ **ხოლერა.** 4 და 5 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 7 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 6 კაცი. გუშინ, 6 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 103 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** გუშინ, 6 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 68, სახადიანი 51, საოფლიანი 36, ხუნაგიანი 22, მუცელაიანი 4 და ყვავილიანი 3 კაცი.

# პროვინციის ქრონიკა

### ქ უ თ ა ი ს ი.

ქალაქს ნავთის დიდი ნაკლულევანება ემჩნევა. გირვანქა ნავთი ამ ჟამად 7—10 კ. ფასობს. საგონებელში ჩავარდნილმა ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ღამ-ღამობით სრულებით აღარ აანთოს ქუჩებში ნავთის ფარნები და მით ქალაქი ცოტა ხნით მაინც იოლად წაიყვანოს.

ქალაქის პირველდაწყებითი სკოლების მასწავლებლებად დაინიშნენ: მემარნიშვილი, ჩეჩელაშვილი და ქ-ნი შევარდნაძე, რომელთაც საკონკურსო გამოცდაზე საუკეთესო ნიშნები მიიღეს.

მესამე ქალაქის პირველ დაწყებით სკოლასთან იხსნება მეოთხე განყოფილება მშობელთა ხარჯით.

**სოფ. ბუენევი.** (ზემო იმერეთი).

არსენ კაპანაძემ თოფით მოჰკლა სვიმონ აბდუშელიშვილი. მკვლელი შეიპყრეს.

**სოფ. ქვიშხეთი.**

ყანიდან დაბრუნებული გლეხი მალაშვილი, რომელიც მტკვარში უნდა გამოსულიყო, შუა წყალში ურემი გადაუბრუნდა და დაიხრჩო მასთან მყოფი თავის ორი რძალი. ერთი დამხრჩვალის გვამი ამას წინად სოფ. ცხრა მუხასთან იპოვეს, მხოლოდ მეორესი ჯერჯერობით ვერ იპოვეს.

— სიძვირე თანდათან მატულობს: წელს არაჩვეულებრივი ფასი აქვს შეშას. ამ ხანად ადგილობრივ საჟენი 35 მან. ფასობს.

**სოფ. სალხინო** (სამეგრელო).

განზრახულია ამ მოკლე ხანში აქ გაიხსნას პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლა, რომლისთვის ხალხს შენობა უკვე აგებული ჰქონია.

**დ. სამტრედია.**

ადგილობრივი მეხილე მოხელეები და წვრილ ჩარჩ-მოვაჭრეები ამ უკანასკნელ დროს დიდის ენერგიით აგროვებენ ხურდა ფულს მალავენ და როცა მახლობელ სოფლებიდან მცხოვრებნი გასასყიდ საქონელს ჩამოიტანენ დაბაში ყველაფერს იაფად ატოვებინებენ ხოლმე. მხოლოდ თვით მცხოვრებნი კი იძულებულნი არიან ხურდა ფულის უქონლობისა გამო სანოვაგე თუ სხვა საქონელი ზედმეტს ფასში შეიძინონ ხსენებულ პირთაგან.

**სოფ. რხელი—მუხეში.** (სიღნაღის მაზ.)

გზაზე იპოვეს გვამი თოფით მოკლულის სოფ. ტიბაანის მცხოვრების მიხეილ მურაშვილისა. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

# ჩუმი სევდა

ჩემს ფანჯარას წვიმის წვეთი გამუდმებით არაკუნებს!
შენ რომ წახველ, ძველ სიმშვიდეს, მითხარ, ვიღა დამიბრუნებს?
ოჰ, ის ლანდი, მარტოდ მყოფსა კვლავ რამდენჯერ შემაძრწუნებს!

მოწყენილმა ხელში მომეც სუმბულივით თეთრი ხელი;
შენი ცრემლი რას ნიშნავდა, ანუ კვნესა გულის მკვლელი?
ოჰ, ჩემს ბაღში იმ დღის შემდეგ დასჭკნა ვარდი სანუკველი!

რა ვინატრო, ცოცხალს შემრჩეს, ან მე შევრჩე ჩემის ნებით?
ის არ მოვა კიდევ ჩემთან, ვერ აღმავსებს თვისის შვებით!
მე და ჩემი დიდი ზრახვა დრო დაჰკრავს და აღვიგვებით!

ხოლო ნისლი ცრემლს დააფრქვევს, როგორც ერთ დროს ცრემლს აფრქვევდა;
ყვითელ ფოთოლს მარად ობოლს ქარი დაჰხევს, როგორც ჰხევდა;
სხვა მგოსანსაც ჩემებრ დასჯის ბინდმოცული ჩუმი სევდა!..

**სანდრო შანშიაშვილი.**

# პატარა ფელეტონი

**ჩემი ყვავილები, ჩემი ყვავილები!**
(ესკიზი)

სოფელში ვცხოვრობ, მეურნეობას ვეწყობი. მიყვარს ქანც მიწყვეტამდე მუშაობა. კალოს, გუთანს, ბაღ-ვენახს და საფუტკრეს ერთგვარის მზრუნველობით ვაწარმოებ.

მაგრამ ყველაზედ მეტად მე მიყვარს ჩემი ყვავილნარი და მას მეტის სიფაქიზით და გულთბილობით უვლი და უფარეშებ.

ყოველ დილით რომ ვდგები და ფანჯრის დარაბებს გადავაღებ, როგორც შეყვარებული მიჯნური თავის სატრფოს, ისე უალერსებ იმათ, შევხარი და სიამოვნებით ვსტკბები ამ ძვირფასი სპარსული ნოხივით წინ გაშლილის აყვავებულის მცენარეებით!

ყოველმხრივ შესწავლილი მაქვს ყვავილთა ბუნება, ჰავა, ნიადაგი, მზის სითბოების რაოდენობა, მარწყვის ჯერი და დროთა ბრუნვის შესაფერად შერჩეული გადმორგ-გადარგვა.

დაუჯერებელია, რომ სოფლის მეურნემ, ამ ტლანქმა და მძიმე საქმის მზიდავმა მუშამ, ამ გვარ სიკეკლუცეს მიაქციოს ამდენი ყურადღება, მაგრამ გარწმუნებთ, მე ჩემი ყვავილნარი კოხტა სარძლოსავით მიყვარს და ისე ულოლიავებ, როგორც უცოლშვილო ხანში შესული კაცი, რომელსაც ჯერ იმედი არ დაჰკარგვია მშვენიერების ძიებისა და პატრონობისა!

დიახ, ბატონებო, მე ძრიელ მიყვარს ყვავილები და იშვიათად თუ ხელს შევახებ მოსაწყვეტად ამ ჩემ ნებივრებს, ან თაიგულად ავასხამ და უთავაზებ ვისმე.

დღეს ეს ჩემი უხიაკობა დავარღვიე და ჩემი ყვავილნარი ავიკელ და გადავგლიჯე: საუკეთესო ეგზემპლიარები დავარჩიე, დიდის გულ-მოდგინებით შევაზავე მუქი სოსანი, ხავერდოვანი ივან და მარია ყვითელ და ჩალისფერ გულისაბასთან და აქა იქ სურნელოვანობისათვის უმანკო რეზედების თავთავები დაუბნიე, მშვენივრად გაფურჩქვნილი და მწვანე ატლასივით მოელვარე უნაბის ლამაზ ფოთლიან შტოებში ჩავსვი და ეს ნაზი, ნარნარი, დილის ნამით დანამული, სიცოცხლით მთრთოლვარე თაიგული, თხელ ქაღალდში გავახვიე და მეც ოდნავ აღელვებული ვერასთან გავეშურე, დღეობის მისალოცად.

იქნება გაიკვირვოთ ჩემი ესოდენ ხელგაშლილობა და ჩვეულების დარღვევა, მაგრამ რომ იცოდეთ რა კარგია, რა სათნოა, რა გრაციით აღსავსეა ლურჯ თვალებიანი ამ სოფლის ფოსტალიონის მეუღლე ვერა, აღარ გაიკვირვებთ.

დიახ, აღელვებული წაველ და იმის კარებთან რომ მიველ, აღელვება გამიათასდა, ხელებიც კი ამიკანკალდა და ჰაეროვანი თაიგული კინაღამ მიწაზედ დამივარდა... მაგრამ თავი შევიმაგრე, თაიგული გულზედ მივიკარ და ვერასთან თამამად შეველ.

პირველი, რაზედაც ჩემი თვალი შეჩერდა ვერას სადღესასწაულოდ მორთულ სასტუმროში, თაიგული იყო, მაგრამ რა თაიგული, ვერ წარმოიდგენ! დიდრონ-დიდრონი წითელ-ყვითელი გიორგინებისა, უმწვანოდ, ერთი ერთმანეთზედ მჭიდროდ მიწყობილი... ერთი სიტყვით, კინტოური, ორთაჭალის მოქეიფეთა სუფრის სამკაული... და შემდეგ ალაგობრივი პრისტავი შამხაი ლეკი, თათარი, თუ აისორი, სწორე გითხრათ, ძნელი გამოსაცნობი კი იყო იმის გარეგნობის შეხედულობით, თუ რომელ ბედნიერ ერს ეკუთვნოდა, ეს უშნო, აწოწილი, თავ დიდი ახმახი, გარკვევით არც ერთი ეროვნების ენის მცოდნე და თავშიაც არავითარ აზრების მქონე.

მე მაშინვე მივხვდი, რომ მშვენიერი „ბუკეტი" შამხაის მოძღვნილი იყო და გავილიმე. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების" მეთქი გულში გავიფიქრე და ჩემი სიკეკლუცის შედევრი დიდის სიამაყით გადავეცი ქალბატონ ვერას.

ვერამ თავისებურის ტკბილის ღიმილით მიმიღო, სათნოებით ხელი ჩამომართვა, მკრთალ პირისახეზედ ალისფერიც კი გადაეკრა, რაც მე დიდ ნუგეშად მივიჩნიე, თაიგულიც მოწიწებით ჩამომართვა.

სანამ მე აქ მყოფთ სტუმრებს სალამი მივეცი, შანხაის, როგორც ჩემ მეტოქეს ვერას არშიყობაში, შევუბღვირე, გზა აუხვიე და კუთხეში მივჯექ. ვერამ ვაზიდგან გიორგინების თაიგული ამოიღო, ზედ შემოხვეული მსხვილი ბაწარი მოხსნა, გვერდით ჩემი ნაზი, რჩეული, სურნელოვანი ყვავილები მოუწყო და კვლავ ვაზაში ჩაალაგა, მაგრამ საყვავილეს ყელი ვიწრო იყო და ამდენ ყვავილთ არ იტევდა, რეზედები პეპელასავით მოციმციმე ივან და მარია მყრალ გიორგინებს ზედ მიაჭყლიტა, ძალად ჩასტია!

— ოჰ! რას შვრებით, უგუნურო! შევყვირე მე და როგორც მძიმედ გულში დაკოდილი, გარეთ გამოველ.

და ვფიცავ მშვენიერების გამჩენს, დღეიდგან არც ერთ ქალს თუნდ მშვენიერების მეფეს აღარ მიუძღვნი ჩემ ყვავილებსა, ჩემ ლამაზ ყვავილებს.

**ეკატ. გაბაშვილი.**

# მკითხველის შენიშვნები

VI.

„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია". კაზმული სიტყვიერებითი ქრისტომატია. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ქუთაისი 1915 წ. ფასი 1 მ. 20 კ. გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნ. მაღაზ. (რეცენზიის მაგიერი).

თუ დაჰკვირვებიხარ, მკითხველო, ჩვენს ცხოვრებას, არ შეგეძლო არ შეგენიშნა ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა,—ჩვენ სრულიად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, და, რაც ყველაზედ უფრო სამწუხაროა, **არც-კი გვაქვს სურვილი** ამ წარსულის გაცნობა-შესწავლისა. რაღაც საშინელ ინდიფერენტიზმს შევუპყრივართ და სრულიად არა ვფიქრობთ იმაზედ, რომ წარსული მშობელია აწმყოსი, მასზე, როგორც მცენარე ფესვებზე, უნდა ვამყარებდეთ აწმყოს და მომავალს. ეროვნულ კულტურის აღორძინება, ეროვნული სწავლა-განათლების აღყვავება მაშინ იქმნება შესაძლო, როდესაც ყოველივე ეს წარსულის საუკეთესო მხარეებთან იქნება შეკავშირებულ-შედუღებულ-შესისხლხორცებული. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ, თუ ჩვენ მოზარდ თაობას დავანახვებთ, „რა ვიყავით ჩვენ, ქართველნი, ძველსა დროსა", ადვილად დავსძლევთ ზემო აღნიშნულ ინდიფერენტიზმს და ფართო გზას გავუკაფავთ ჩვენ მოზარდ თაობას წარსულის შესაყვარებლად, გავუღვიძებთ ინტერესს მის შესწავლისას, რაიცა თავის მხრივ გაუშუქებს მათ თანამედროვე ცხოვრებას და დაუსახავს მომავალში იმ იდეალს, რომელსაც იგი უნდა ემსახურებოდეს თავდაპირველად როგორც ქართველი და შემდეგ, როგორც წევრი ძსოფლიო საზოგადოებისა.

გვიკიჟინებდნენ და დღეს ჩვენ ვუკიჟინებთ ჩვენს შვილებს, არ იცნობთ ჩვენ წარსულ დიდებასო, და კი არა ვცდილობთ ავუხსნათ, ვაჩვენოთ, თუ რაში მდგომარეობს ეს დიდება; ვუკიჟინებთ, არ იცით ჩვენი წარსულიო, და კი არა ვცდილობთ ვუჩვენოთ და გავუადვილოთ გზა და საშუალება ჩვენი წარსული კულტურის შესწავლისა. ვწუწუნებდით და ვწუწუნებთ, რომ ენა გაირყვნა, დიდებული ძველი წმინდა ქართული ენა; ის ენა, რომლითაც „თამარ ბრძანებას სცემდა, ქეთევან მარად ღმერთს ადიდებდა და ნინო ძისა ღვთისასა მცნებას ერს უქადაგებდა", დღეს რუსიციზმებით და საზოგადოდ ბარბარიზმებით ივსება, და კი არ ვუჩვენებდით იმ მარგალიტებს, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან, მაგალ., ჩვენ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, რომლის დასაწყისი ქრისტეს შობის შემდეგ პირველ საუკუნოებამდე [illegible] მუშები ძველ ხელთ-ნაწერებსა და წიგნებში იყო და არის მოთავსებულნი, რომელნიც წიგნთ საცავებ-მუზეუმების კარდებში ინახება და რომელთა ხილვა და შესწავლა მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლიათ. აბა მიგვეცა მოზარდ თაობისათვის თავის დროზე შესაფერი სახელმძღვანელონი, თუ თითზე ჩამოსათვლელად გვეყოლებოდნენ ჩვენი წარსული დიადი კულტურის მცოდნენი და მისი მკვლევარ-მაძიებელნი. ამ მხრივ დიდი და შეუწყნარებელი ცოდვა მიგვიძღვის ჩვენი ისტორიის წინაშე! თუ საზოგადოთ ჩვენი კულტურის მთლიანად შესწავლა სიძნელეს წარმოადგენს, ერთი მხარე ამ კულტურისა, სახელდობრ „სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა" შესწავლა, შედარებით უფრო ადვილია, უფრო ადვილია ამ ნაწარმოებთა დაბეჭდვა გამოცემა. თუ ვისმე ჩვენთაგანს აქვს სურვილი იგრძნოს და განიცადოს სიმშვენიერე ქართული სიტყვა-კაზმული ლიტერატურისა, მან უნდა მიმართოს თავდაპირველად ჩვენი ძველი მწერლების ნაწარმოებთ. არას ვიტყვით „ვეფხის ტყაოსანზე", გადაავლეთ თვალი თუნდ მერვე და მეათე საუკუნოების მწერლების იოვანე საბინის ძის, იოვანე მტბევარის და მიქაელ მიდრეკილის ნაწარმოებთ, და თუ თქვენ, მკითხველო, ოდნავ შეგრჩენიათ სიყვარული სამშობლოისა, თუ თქვენ სრულებით არ გადაგვარებულხართ და შეგრჩენიათ გრძნობა განცვიფრებისა და სიამაყისა, უდიდეს სიამაყე-სიამოვნება-განცვიფრებას განიცდით ძველ მწერალთა ნაწარმოებთა გაცნობით. და ამ სიამაყე-სიამოვნება-განცვიფრებას უეჭველია გამოიწვევს მკითხველში პატივცემულ ს. რ. გორგაძის ახალი შრომა, რომლის სათაურიც ზემოდ ამოვწერეთ. ჭეშმარიტად დაუფასებლად მიგვაჩნია ბ. გორგაძის ცდა—მიეწოდებინა მოზარდ თაობისათვის ჩვენი ძველი მწერლების ნაწარმოებთა ნიმუშები, ქრისტომატიის სახით. ეს ნიმუშები მოყვანილია მერვე საუკუნიდგან დაწყებული ვიდრე მეთვრამეტე დასასრულამდე და დაყოფილია სამ პერიოდად.

I. **უძველესი პერიოდი.** მწერალნი: იოვანე საბანის ძე (მერვე საუკ.) იოვანე, მტბევარი (მეათე საუკ.) და მიქაელ მოდრეკილი (მეათე საუკ.)

II. **კლასიკური პერიოდი.** მწერალნი: მოსე ხონელი (მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკ.); „ვის-რამიანი" (სარგის თმოგველი) (მეთორმეტე საუკ.); იოვანე შავთელი (მეთორმეტე საუკ.); ჩახრუხაძე (მეთორმეტე და მეცამეტე საუკ.) და შოთა რუსთაველი (მეთორმეტე და მეცამეტე საუკ.)

III. **განახლების პერიოდი.** (მეთექვსმეტე და მეთვრამეტე საუკ.) მწერალნი: მეფე თეიმურაზ პირველი; არჩილ მეფე; სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ-მეფე; დავით გურამიშვილი; ბესარიონ გაბაშვილი.

ყველა აღნიშნულ პერიოდს წინ უძღვის მოკლე საზოგადო მიმოხილვა; მოყვანილია მწერალთა მოკლე საბიოგრაფიო შენიშვნები. წიგნში მოთავსებულია „მხოლოდ საუკეთესო ნიმუშები, რომელთაც ჩვენ მწერლობაში ახალი რამ შემოუტანიათ ან ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნისთ"... ამიტომ ქრისტომატიაში მოჰყვა მხოლოდ პირველ ხარისხოვან მწერალთა ნაწარმოებნი. თუმცა ეს ნაწარმოებნი შემოკლებით არიან მოყვანილნი, მაგრამ შემდგენელი ცდილა ამოკრებილ ნაწილთა შორის კავშირი დაცულიყო. ბ. გორგაძის ქრისტომატიის ხმარება მით უფრო ადვილი ხდება, რომ ნიმუშებს თანა სდევს თითქმის ყველა ძველი სიტყვების ახსნა-განმარტება; ეს გარემოება წიგნის ღირსებას ორ-ასამკეცებს. წიგნის მეორე ნაწილს შეადგენს „ხალხური პოეზია". „ზღვასავით ვრცელი და დაულეველია, ბუნებასავით მრავალგვარი და თვალ გადუწვდენელია ქართული ხალხური პოეზიაო", სამართლიანად შენიშნავს ბ. ს. გორგაძე ამ ნაწილის შესავალში ქართული ხალხური პოეზიის შესახებ. ბ. გორგაძის ქრისტომატიაში, როგორც იგი სამართლიანად განაცხადებს, მხოლოდ ის არის მოთავსებული, რაც „დღემდე გამოქვეყნებულს მასალაში უფრო მეტს ყურადღებას იქცევს, სიტყვიერების ნამდვილ შედევრს წარმოადგენს, როგორც **ენის სიმშვენიერით და მუსიკალობით, ისე შინაგანის აზრით და გრძნობის სიცხოველით** (კურსივი ჩვენია)... ამ მცირე მასალით მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ ქართულ ხალხურ პოეზიას განვითარების უმაღლეს ხარისხამდე მიუხწევია; მისი ბადალი არა თუ ახალი ქართულ მწერლობაში, კლასიკური პერიოდის ნაშთებშიაც ძლიერ ცოტა მოიპოვება. მხოლოდ რუსთველის გრძნეულ ჩანგს შეეძლო მიეცა და კიდევაც მოგვცა მისი საბადლო მარგალიტები. მაგრამ ხშირად აქაც სადავო ხდება, რომელი რომელსა სჯობს:

რუსთველის ღვთაებრივი საგალობელი ხალხისას, თუ ხალხური პოეზიის ობოლი მარგალიტები რუსთველის ღვთაებრივს პოეზიას?! მართლაც, კითხულობ ამ ორ-სამ სტრიქონიან ლექსებს და გაკვირვებას ეძლევი, რა დიად და ძვირფასს განძს წარმოადგენს ჩვენი ხალხური პოეზია! დიდი სურვილი გვქონდა რამდენიმე ნიმუში მოგვეყვანა ბ. გორგაძის ქრისტომატიიდან, მაგრამ ეს ვერ შევძელით, რაკი ყველა ერთნაირად მშვენიერია, ყველა ნოტებზე გადასაღები და სასიმღეროა.

მაგრამ, არა, ერთ-ორს მაინც მოვიყვან.

1.

იამა გზობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
შეგამკო სურნელებითა.

2.

იმერეთი მომივლია,
ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა,
ყელი მოგიღერებია,
წამწამზე და წამწამ შუა
ბაღი გაგიშენებია,
შიგ სურვილი ჩაგისახავს,
ყველა გაგიშტერებია.

3.

ქალო, მითხარი: „შენივარ“!
გულ რაღად დამეხურება?
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
ნისლით არ დაიბურება.

და მრავალი სხვა.

ეს განყოფილება (სახალხო პოეზია) სამ ნაწილად არის დაყოფილი: ლექსები და შაირები; ანდაზები და გამოცანები და ზღაპრები და არაკები. ამ განყოფილებაში ფრიად საინტერესო მასალაა მოქცეული.

ამნაირად ბ. გორგაძის ქრისტომატია მეტად თვალსაჩინო მოვლენად მიგვაჩნია ჩვენ ღარიბ პედაგოგიურ ლიტერატურაში. იგი ყველა ინტელიგენტ ქართველმა ოჯახმა უნდა შეიძინოს და შეძლებისადაგვარად გააცნოს მოზარდ თაობას. მადლობის ღირსია ბ. თ. მთავრიშვილის და ამხ. მაღაზია, რომელსაც თავს უდვია ბ. გორგაძის ძვირად სასარგებლო შრომის გამოცემა, დასასრულ ვუსურვებთ ბ. გორგაძის ქრისტომატიას, რომ იგი ფართოდ გავრცელებულიყოს ჩვენს ოჯახებში.

ვას. ჯაფარიძე.

## ქუთაისის ამ-ბარში

— ქუთაისის გუბერნატორმა კამერიუნკერმა ლ. ვ. პოტულოვმა საბოლოოდ დაამტკიცა ფოთის ქალაქის თვითმართველობის დადგენილება, რომ ფოთის ქალაქის თვითმართველობის ყოფილ მოურავს ნ. ი. ნიკოლაძეს მიეცეს პენსიის სახით წლიურად 5,000 მანეთი.

— ამ რამოდენიმე ხნის წინად ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ქუთ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მთავრობამ ნება დართოს თავად-აზნაურობას გაიყვანოს რკინის გზის ლიანდაგი სამტრედიიდან—ხონით და ონამდის. ეს შუამდგომლობა ბატონმა გუბერნატორმა დაამტკიცა, რაც დეპუტატთა საკრებულოს კიდეც შეატყობინა. განზრახვა მეტად სიმპატიურია. რკინის გზამ უსათუოდ ქ. ქუთაისში უნდა გამოიაროს, ამ რიგად ქუთაისი ვაჭრობა-მრეწველობის მხრით დასავლეთ საქართველოს ცენტრად შეიქნება. რკინის გზას სხვა მხრითაც დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს იმერეთს და რაჭა-ლეჩხუმს. რაჭა-ლეჩხუმის დაუმზადებელ ხეტყესა და მადნეულობას ხსენებული რკინის გზა უსათუოდ საუკეთესო ბაზარს მოუპოვებს.

— საფინანსო სამინისტრომ ფოთის ქალაქის თვითმართველობას ნება დართო გახსნას ქ. ფოთში ქალაქის საზოგადო ბანკი. ქალაქი ამ ბანკისათვის ძირითად თანხად სდებს 10,000 მანეთს. როგორც შევიტყვეთ ხსენებული ბანკი მოქმედებას დაიწყებს თუ არა ფოთის საურთიერთო ბანკი დაიკეტება.

— ხურდა ფულის კრიზისი ქუთაისშიაც გაჩნდა, ვაჭრები მეტად უსინიდისოდ იქცევიან. ბევრი ხურდა ფულს კიდეც ყიდულობს.

— **მოწამეთობა.** მოწამეთის მონასტერმა 2 ოქტომბერს ჩვეულებისამებრ იდღესასწაულა დიდი მოწამეების დავით და კონსტანტინეს დღეობა. ქუთაისიდან გელათის სადგურამდის ამ დღეს დანიშნული იყო ექვსი დამატებითი მატარებელი, მაგრამ ვაგონები ყოველთვის ცარიელი მიდიოდა. არსად ჩანდა ის აუარებელი მართლ-მადიდებელნი რომელნიც სავედრებლად ფეხშიშველნი მიდიოდნენ რამდენიმე ვერსის შიშორიდან. ვინც კი დაესწრო ამ დღესასწაულს, ყველას ოხვრა და მწუხარება ეტყობოდა. ყველა ომის შემზარავ ამბებს კითხულობდა. მგზავრებისათვის ამ დღეს ცუდ ამინდს ხელი არ შეუშლია. მონასტერში მწირველი იყო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი და მონასტრის არხიმანდრიტი.

— ქუთაისში რამდენიმე დღის ცუდი ამინდების შემდეგ ისევ გამოიდარა. ახლო-მახლო სოფლებში რთველისა და სიმინდის ყანების მოწევას კიდეც შეუდგენ, მაგრამ წელს როგორც ემჩნევა მეტად ცუდი მოსავალი არის.

— ქუთაისის ვაჭრები ყოველივე სანოვაგეზე ფასებს ხელოვნურად აძვირებენ. აღარ იშოვება შაქარი, ნავთი და სხვა უსაჭიროესი სანოვაგე. მეფქვილეები რუსეთის ქალაქებიდან იწერენ მეტად დაბალი ღირსებისა და ძველ ფქვილს, რომლისგანაც გამომცხვარი პური უფრო მავნებელია. ამ ერთი კვირის წინად ქუთაისში შაქრის გადამალვისათვის გუბერნატორმა დააჯარიმა 6 ვაჭარი ზოგი 300 მან. ზოგი 500-თა და ზოგიც 600 მანეთით. მათ აღმოუჩნდათ სულ 10,000 ფუთი შაქარი.

— ბ. გუბერნატორის განკარგულებით ქუთაისის პოლიცმეისტერმა ბ-ნმა მახარაძემ აწერილობა მოახდინა ზინგერის ფირმის მაღაზიებსა და კანტორაში. დაკეტეს და დაბეჭდეს 2 მაღაზია და 3 კანტორა. ყოველივე მიწერ მოწერა და კორესპოდენციები მთავარ განყოფილებებთან დააკავეს.

— საერობო აგრონომებმა ოკრიბის მხარეში წელს ზაფხულზე შეიძინეს ორი საცდელი მინდორი, ერთი სოფ. მანდიკორში სოფლის სამართველოს მახლობლად და მეორეც სოფ. ბობოთში. ამ საცდელ მინდვრებში ხსენებული აგრონომები დაამზადებენ სხვა და სხვა საუცხოვო ხეების ნამყენებს. განზრახვა აქვთ ასწავლონ სოფლელ გლეხებს მყნობა და უსასყიდლოდ დაურიგონ მათ ახლად გახარებული ნამყნები საუკეთესო ჯიშის ვაშლებისა, მსხლისა, ატმისა, ბლისა, ქლიავისა და სხვ.

## რუსეთის ცხოვრება

„რან. უტრ.“ ატყობინებენ ვიტებსკიდან, რომ დვინსკის სამხედრო სამმართველოში გაირჩა საქმე კოვენის სიმაგრის ყოფილი კომენდანტის გრიგორევისა, სიმაგრის ზომების მიუღებლად დათმობისათვის. სამმართველომ გრიგორიევს გადაუწყვიტა ხუთმეტი წლის კატორღა.

---

გადმოგვცემენ, აგვისტოს დამლევს ბრესტლიტოვსკში ჩამოვიდა ვილჰელმი. ინახულა ბრესტო ჰინდენბურგი, დაათვალიერა სიმაგრე და სთქვა, რომ სიმაგრის შეკეთება არა ღირს, უნდა ახალი აშენდესო.

---

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ ქალაქის უფროსის თანაშემწეს, მოდლს პასუხის გებაში აძლევენ, რუსეთის მოპირდაპირე მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების რუსეთიდან გაუძევლობისთვის.

---

დიდი მოთხოვნილებაა ახლად გამოცემულ დასახურდავებელ მარკებისა, ჯერ ჯერობით პეტროგრადში სახელმწიფო ბანკში გაიყიდა 172.367 მანეთის 20 კ.

---

ვინაიდან რომანოვთა იუბილეიზე გამოშვებული ფულად სახმარებელი მარკები, ხალხში დიდს უხერხულობას იწვევს, ჰფიქრობენ ხსენებული მარკები სხვაგვარ ნიშნებით შესცვალონ.

**რედაქტორის გასამართლება.**

მოსკოვის სამოსამართლო პალატაში გაირჩა გაზ, „ზემშჩინას“-ს რედაქტორის ვ. ს. გლინკიაჩევსკის საქმე. რედაქტორს ჰბრალდებოდა ქ. იაროსლავლიდან არა მართალ კორესპონდენციის მოთავსება, რომელმაც იქაურ ლიცეის სტუდენტთა შორის დიდი უსიამოვნება და შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კორესპონდენციის შინაარსი მოკლედ ასეთი ყოფილა: სტუდენტი მორგულისი, რომელიც „ცენტრალ კომიტეტს“ ეკუთვნოდა. (ეს ის კომიტეტია, რომელიც სცდილობდა ლიცეიში მეცადინეობის შეწყვეტას) პოლიციას აცნობა: ამხანაგები სალამს აღარ მაძლევენ და „ბოიკოტს“ მიცხადებენო. როდესაც ხსენებული კორესპონდენცია დაიბეჭდა, იგი გააკრეს ლიცეის კედელზე სტუდენტებმა. მორგულისმა წაიკითხა თუ არა ეს კორესპონდენცია, ძალზე გაბრაზდა და საქმე სასამართლოს გადასცა. სასამართლომ საქმე გაარჩია და რედაქტორი დამნაშავედ იცნო და ორი კვირის ციხე მიუსაჯა.

## სად გაჰქრა ხურდა ფული?

ეს რამდენიმე დღეა, რაც თბილისში ხურდა ფული სავსებით გაჰქრა. ამ გარემოებამ ხალხი, განსაკუთრებით ხელმოკლე ადამიანები, აუწერელ მდგომარეობაში ჩააყენა. გაჭირვება მეტის-მეტია და ეს ასედაც უნდა იყვეს, რადგან კაცს ვერა შეუძენია რა მანეთზე ნაკლებ ფასში. თითოეულ ფეხის გადადგმაზე და თითო წუთში აუარებელი შემთხვევაა იმისა, რომ კაცს პური შიან, რესტორანში შედის და საჭმელს თხოულობს; რესტორანის პატრონი-კი წინდაწინვე აფრთხილებს, რომ მანეთზე ნაკლები თუ დახარჯე, ხურდას ვერ გიშოვითო; მეორე ადგილას მიდის მშიერი კაცი, მაგრამ იქაც ისევე ეუბნებიან. ზოგიერთ რესტორანში წინდაწინვე თხოულობენ ფულს მუშტრისაგან. ასეთივე ამბები ხდება სხვა სავაჭრო სახლებშიაც. მოითხოვეთ რაიმე საქონელი აბაზისა, ექვსი შაურისა, თუ გინდ სამი აბაზისა, ქაღალდის ფულის დახურდავებას ნუ ელით; ნაყიდი და შეხვეული საქონელი უნდა დასტოვოთ და სხვა ადგილას შეხვიდეთ, საიდანაც ისევე ხელცარიელი გამოდიხართ. მაგალითი იყო, რომ კაცმა ოთხმანეთ-ნახევრის საქონელი იყიდა და დუქნის პატრონმა ხუთ-მანეთიანი არ დაუხურდავა.

ასეთი მდგომარეობა თუ გაგძელდა, ცუდი ამბები დატრიალდება თბილისში, ვის შეუძლიან, ორი შაურის ადგილას მანეთები და სამი მანეთები ხარჯოს. ვინ არ იცის, რომ ამ ომიანობამ ზოგიერთნი თუ გაასუქა, რომელნიც მანეთსა და სამ-მანეთიანს ფულად არა სთვლიან, დიდი უმრავლესობა აუტანელს კრიზისს განიცდის და მისთვის მანეთიანი მთელს საცხოვრებელს შეადგენს! პეტროგრადში რომ ხურდა ფული შემოაკლდათ, ერთი აურ-ზაური ატყდა და რამდენიმე დღეში კრიზისს ბოლო მოეღო. აქ-კი თითქოს არაფერიაო; ხალხი ვაჭრების ანაბარად არის. საჭიროა ფიცხელი ღონის ძიება, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გამწვავებულა.

## წერილი პოზიციებიდან

დროებით ერთ ხევში ვიყავით დაბანაკებული, გარშემო ვეებერთელა მთები ამართულიყო. მთის ძირში პატარა წყარო მოჩხუოდა. წყურვილი იმით მოვიკალით. საჭმელს ვერ ვხარშავდით, სამ-ოთხი დღის გამომცხვარ პურს წყაროში ვალბობდით და ისე ვსჭამდით... გასაქანი არსად გვქონდა, ნაბრძანები იყო ასე ვყოფილიყავით ვიდრე არ გვაცნობებდნენ რამეს... ენკენისთვის წყნარი ღამე იყო... ცა ოდნავ მოღრუბლული პატარ-პატარა წვეთებს გვაყრიდა თავზე. ამ დროს გვიბრძანეს რომ დავძრულიყავით, ჩვენ ძლიერ გაგვეხარდა, რადგან ხევში ყოფნის დროს კუტებს დავემსგავსეთ. მივდიოდით და ჩვენ წინ კვლავ თვალ-უწვდენელი მთები იმართებოდნენ. დიდი ხეტიალის შემდეგ ერთ სოფელს მივაღწიეთ. სოფელი მდუმარებდა, გეგონებოდათ მტერს ჩვენთვის დაეცალა აქაურობაო. ბაღებში ყველაფერი მწიფე იყო. მივადექით და გამშრალი პირი გავისველეთ სხვა და სხვა ხილეულით. მე და ჩემი ორი ამხანაგი მოშორებით წავედით. გვინდოდა გვესარგებლნა დროთი და მიგვეძინა. უცბად რაღაცა არაჩვეულებრივი ხმა შემოგვესმა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ შევნიშნეთ მშობიარე ქალი. მის გარშემო შორი-ახლოს ხმალ ამოწვდილი იდგა რვა მამაკაცი. ჩვენს მიახლოვებაზე ისინი შეკრთნენ, დაიჩოქეს და შეგვეხვეწნენ რო დედაკაცისთვის არაფერი გვევნო. „თქვენ ყველანი ტყვეები ხართ, ქალს ჩვენგნით არაფერი საფრთხე არ მოელის“, დაწყნარებით უთხრა ჯარისკაცმა კ. ლ—ძემ. ამის შემდეგ ჩვენ მოვშორდით იმ ადგილს, რათა მშობიარე ქალისთვის თავისუფლება მიგვეცა. უეცრივ გაისმა ბრძოლისთვის მომწოდი ხმა. ჩვენ საჩქაროდ გავეშურეთ უფროსთანა. მტერს თურმე სიბნელით ესარგებლან და გარს შემოგვერტყმოდა. პრაპორშჩიკმა ა. ჯ—ძემ და ს. კ—კომ სთქვა: ჩვენ გომბორელები ვართ, ჩვენს მთებს შიში არ სჩვევიათ. აბა მძაპაპურად... ს. კ—ამ რუსულად შეჰყვირა „ну братцы!“ და ჩვენც ვიძგერენით ხაზის გასარღვევად. გავარღვიეთ... ჯოჯოხეთური სურათი ჩვენვე შიშის ზარს გვცემდა. მიწა დახოცილებით მოიფინა, ზოგი უკანასკნელად ითქვამდა სულს, ზოგი რაღაცას წყევლა-კრულვით იგონებდა.

მე გაბრუებული ერთ ადგილას ვეგდე ზურგზე გაკაწრული. როდესაც ყოველივე მიწყნარდა, სანიტარები შევამჩნიე. წამოვდექი, ამხანაგებს ძებნა დაუწყე. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ერთ ადგილას ვიპოვე ა. ჯ—ძე. იგი სულს ძლივსღა ითქვამდა, რომ მივედი ხელი ჩამჭიდა, არ მიშვებდა უბის წიგნი ხელში ეჭირა და მე გადმომცა. რიღაცის თქმა უნდოდა მაგრამ ველარ მოასწრო...

ცრემლები გადმომდიოდა, კარგა ხანს ვიყავი გაციებულ გვამის წინ დაჩოქილი. სანიტარებს ა. ჯ—ძეს გვამი გავატანე. მალე მთავარ ძალებს შევუაერთეს და გზას გაუდექით. ვინ იცის, სად ან რა სახით მოხდება ჩემი აღსასრული? მეც ჩემს ანდერძს საკუთარი უბით ვატარებ.

ირდი.

## მადლობის წერილი

თბილისის წმ. ნინოს საავადმყოფოში მწოლი დაჭრილ-დაავადმყოფებული ჯარისკაცები, უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეებს!

რაც ჯარში გაგვიწვიეს მას შემდეგ სისხლისღვრის და ხოცვა-ჟლეტის მეტი არაფერი გვინახავს კარგი. მას შემდეგ ზოგი დაჭრილი და ზოგი მძიმე ავადმყოფობით მოვხვდით ლაზარეთში, მაგრამ აქაც ხეირი არ გვინახავს: სულ დაუთავებელი კვნესა და ტირილი და გაჭირვების მაყურებელი ვართ. სწორედ ჩვენ ვერასოდეს ვერ ავცდით ასეთს ტანჯვის სურათებს!

მხოლოდ 4 ოქტომბერს საღამოს ამ ლაზარეთში ინებეს ჩვენი კეთილი ჩვენი ნაღვლიანი გულის გასართობლად და ტანჯვის შესამსუბუქებლად თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეებმა გამართეს „სამუსიკო საღამო“ და მათი მოხდენილი სიმღერითა და თამაშით გაგვართეს. ასეთი თანაგრძნობა, ასეთი გულის სიამე და სიხარული არ გვინახავს მას შემდეგ რაც ომი გამოცხადდა!

მადლობა, უღრმესი მადლობა თბილ. ქართულ გიმნაზიის მოწაფეებს! ამ მხურვალე თანაგრძნობისთვის ვუსურვებთ წინსვლა-გამარჯვებას. ასეთი კეთილი მოქმედებისთვის დაუვიწყარი იქნება ჩვენ მიერ მათი კეთილი სამსახური.

თბილისის წმ. ნინოს ლაზარეთის დაჭრილ-ავადმყოფ ჯარისკაცთა მონდობილობით დ. ჯ. კ. ბენია თოიძე.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ჩვენ თფილისის ქალაქთა № 12 ლაზარეთში მწოლი დაჭრილ-დაავადმყოფებულები რომ ნება გვიბოძოთ და თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ამ ლაზარეთის გამგე ექიმს ბ-ონ ბალარჯიშვილს. ექიმს ქ-ონ დეკანოზიშვილს, რომელნიც უზომო მზრუნველობას იჩენენ ავადმყოფის ფეხზე დასაყენებლად. აგრეთვე ღრმეს მადლობას უცხადებთ ამ ლაზარეთის მოწყალების დებს. თ. ზ. ტოგონიძეს, ნინა ზ. ტოგონიძეს, ნ. ჭიჭინაძეს, საყოველთაოდ ყველა დებს, რომელთაც დიდი შრომა და სამსახური მიუძღვისთ ჩვენზედ. ხშირად ეს დები გაჭირვებულ ავადმყოფებს ფულითაც უწევენ დახმარებას. არ შეიძლება ჩვენგან ასეთი კეთილი სამსახურის დავიწყება. უგულითადესი მადლობა ყველას კეთილი ადამიანობისთვის. მადლობის ღირსნი არიან აქაური მოსამსახურეებიც.

ამ ლაზარეთის ყველა ავადმყოფების მონდობილობით დ. ჯ. კ. მიხაილ ვეკუა.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დღ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დღ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დღ. |
| | „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. | 55 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

## თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგვინეთუხუცესები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ, მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან